საქართველოს ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვება

კვირას, 16 დეკემბერს, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში შესდგა საბჭოთა და რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდების პირველი მატჩი.

სტადიონი ვერ იტევდა თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდისა და რუმინეთის რკინიგზელთა კლუბის ფეხბურთელთა გუნდის მატჩის საყურებლად მოსულ ხალხს.

მატჩი დაიწყო სამ საათზე მოსკოვის დროით. ცივა. 6 გრადუსი ყინვაა. მატჩის პირველი ნახევარი საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით მიმდინარეობს. ბურთი თითქმის არ სცილდება რუმინელების მხარეს. ჩვენმა დინამოელებმა მაინც ვერ მოახერხეს ბურთის გატანა. რუმინელთა მეკარე ენერგიულად და მოხერხებულად იცავდა კარს.

მეორე ტაიმის უკვე პირველ წუთებში დინამოელები ახერხებენ ორი ბურთის გატანას. რუმინელი ფეხბურთელები ცდილობენ გაქვითონ ანგარიში. მათი თავდამსხმელი 25 მეტრიდან ურტყამს. შუდრა ახერხებს ბურთის შეკავებას. მაგრამ ვერ იჭერს. მეორე დარტყმა, ბურთი დინამოელთ კარშია.

ქართველი ფეხბურთელები კვლავ გადადიან იერიშზე. პაიჭაძის მიერ მიწოდებული ბურთი ჯეჯელავამ გაიტანა რუმინელთა კარში, მაგრამ მსაჯი ამ ბურთს არ თვლის. ამრიგად, რუმინელი და საბჭოთა ფეხბურთელების პირველი მატჩი დასრულდა ანგარიშით 2:1 ჩვენი ფეხბურთელების სასარგებლოდ.

20 დეკემბერს საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი რუმინეთში ჩაატარებს მეორე მატჩს. ამ დღეს მას მოწინააღმდეგედ ეყოლება სასპორტო კლუბ "კარმენის" გუნდი.

მატჩს დაესწრნენ რუმინეთის მთავრობის მეთაური პეტრე გროზა და რუმინეთის მთავრობისა და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენელნი.

"კომუნისტი", 18 დეკემბერი 1945 წ.